ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 12

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 **13.11. 2024 წელი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, მალხაზ ცერცვაძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, კობა ძაგნიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით ხარძეიშვილი, რამაზ არველაძე, ბიჭიკო პაიკიძე.

(დანართი: N1)

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები (გრიგოლ მატარაძე, ალექსანდრე მჟავანაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ლიზა ტყეშელაშვილი და ნატო დვალი) ბოიკოტს უცხადებენ საკრებულოს მუშაობას და არ ესწრებიან საკრებულო სხდომას.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული სტუმრები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე;**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს .

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

მომხს. ივანე მამფორია

2.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხს: გელა ჩიკვაიძე

3. ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებების, ორი ერთეული ნაგავმზიდი IVEKO FUROCARGO ML180E25-ის, სახელმწიფო ნომრებით XQ 079 XQ და NT 263 NN ა(ა)იპ ,,ვანის კომუნალური გაერთიანება“-ზე (ს/კ 429649017) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე.“

მომხს. ზვიადი კაპანაძე

4. ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს. ზვიადი კაპანაძე

5. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N27 32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხს. მამუკა ნამიჭეიშვილი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსავლებში კორექტირების შედეგად მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით. კერძოდ, არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 240,0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები მცირდება 140,0 ათასი ლარით, ხოლო კაპიტალური ტრანსფერი იზრდება 25,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

დადგენილება N7

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის 2024 წლის 01 ნოემბრის N65-6524306001 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 817 (რვაასჩვიდმეტი) ლარი, რაც ჯამში შეადგენს 8170 (რვაათასასსამოცდაათ) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

განკარგულება N გ-65.6524318001

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებითმ მომხსენებლმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებების, ორი ერთეული ნაგავმზიდი IVEKO FUROCARGO ML180E25-ის, სახელმწიფო ნომრებით XQ 079 XQ და NT 263 NN ა(ა)იპ ,,ვანის კომუნალური გაერთიანება“-ზე (ს/კ 429649017) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,კომუნალურ გაერთიანებას“ გადაეცა პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით ორი ერთეული ნაგავმზიდი IVEKO FUROCARGO ML180E25-ის, სახელმწიფო ნომრებით XQ 079 XQ და NT 263 NN.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებების, ორი ერთეული ნაგავმზიდი IVEKO FUROCARGO ML180E25-ის, სახელმწიფო ნომრებით XQ 079 XQ და NT 263 NN ა(ა)იპ ,,ვანის კომუნალური გაერთიანება“-ზე (ს/კ 429649017) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე.“

განკარგულება N გ-65.65243182

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებითმ მომხსენებლმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი იქნას მუნიციპალური საკუთრების შემდეგი ობიექტები :

1. ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 39 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.731) საწყისი საპრივატიზებო საფასური 1100(ათას ასი) ლარი.

2. ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 41 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.730) საწყისი საპრივატიზებო საფასური 1100(ათას ასი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

განკარგულება Nგ-65.65243183

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N27 32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N27 32 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და დაემატა ორი ობიექტი. კერძოდ: სულორის ადმინისტრაციულ ერთეულში და ქ. ვანში ტაბიძის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნების მოწყობა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N27 32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

განკარგულება N გ-65.65243184

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.